ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 მაისის №ბ42.42221459 ბრძანებით დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“.

ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესდების თანახმად, მუნიციპალური ინსპექცია ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების, გარე რეკლამის განთავსების, ტერიტორიებსა და შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-ესტეთიკურ მდგომარეობაზე კონტროლს;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, მსუბუქი კონსტრუქციების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებას;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამიჯნე ნიშნის მოშლის, დაზიანების ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლის ფაქტების გამოვლენას;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების, სანიტარიული დასუფთავების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და მათ შესრულებაზე კონტროლს;
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, საჯარიმო ქვითრის, დადგენილებისა და სხვა დოკუმენტების გამოცემას, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებული მითითებებისა და დადგენილებების გამოცემას.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ საშტატო ერთეულების რაოდენობა შეადგენს 23-ს, დასაქმებულია 23 თანამშრომელი. ინსპექცია შედგება სამი განყოფილებისაგან: საორგანიზაციო განყოფილება (11 საშტატო ერთეული), ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგისა და მუნიციპალური პარკირების განყოფილება (6 საშტატო ერთეული) და ადმინისტრაციული წარმოების განყოფილება (6 საშტატო ერთეული). დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 19 აპრილის №42ბ.42231096 ბრძანების საფუძველზე, მუნიციპალურ ინსპექციას თხოვების ფორმით, უსასყიდლო უვადო სარგებლობაში გადმოეცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალება: FIAT TIPO, რაც ხელს შეუწყობს ინსპექციას, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ოპერატიულად, ჯეროვნად და ეფექტურად განხორციელებაში.

2023 წელს მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლინდა საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის 9 ფაქტი, უნებართვო მშენებლობისა და სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევის გამო, საიდანაც გამოვლენილ 5 სამართალდარღვევაზე დარღვევის გამოსწორების მოტივით შეწყდა საქმისწარმოება. სამ საქმეზე გამოიცა დადგენილება დამრღვევის დაჯარიმებისა და უნებართვო შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ, სამივე საქმე გასაჩივრდა სასამართლოში და საქმეები განხილვის პროცესშია. 1 საქმეზე მიმდინარეობს წარმოება მუნიციპალურ ინსპექციაში და კანონით დადგენილ ვადაში მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუნიციპალურ ინსპექციას საკონტროლოდ აწერია 105 მშენებლობის ნებართვა. სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება სამშენებლო/სანებართვო პირობების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობა, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, სათანადო რეაგიერება.

გამოვლინდა „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოს დანაგვიანების 8 ფაქტი, დამრღვევებს დაეკისრათ შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა, გადახდილი ჯარიმების ოდენობა შეადგენს - 7980 ლარს.

გამოვლინდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დარღვევის 30 ფაქტი, საიდანაც 10 დარღვევაზე ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 20 დამრღვევს შეეფარდა ჯარიმა სულ 11 570 ლარის ოდენობით, რომელიც სრულადაა გადახდილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ. სულ ჯარიმებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 19550 ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალური ინსპექციის მიერ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფის მიზნით გატარდა სხვადასხვა სახის პროფილაქტიკური ღონისძიებები, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მოწესრიგდა შენობა-ნაგებობეის იერსახე, აღკვეთილი იქნა გარე-ვაჭრობის ფაქტები, სხვადასხვა ლოკაციები განთავისუფლდა საზოგადოებრივი სივრცის თვითნებურად დაკავებისგან, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გაიწმინდა და მოწესრიგდა არაერთი ტერიტორია, აღდგენილ იქნა სარემონტო სამუშაოების შედეგად დაზიანებული გზის საფარი.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ თანამშრომლების მიერ მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი დარღვევების გამოვლენის მიზნით.